ინფორმაცია

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის საქმიანობის შესახებ

(2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 7 მაისის ჩათვლით)

შემოსული განცხადებების ანალიზი

1. კომისიაში შემოსულია მოქალაქეთა 235 განცხადება (იხ. დანართი ცხრილის სახით).
2. 2015 წლის თებერვლიდან საქართველოს მთავარი პროკურატურაში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში, გადაგზავნილია 9 განცხადება. მიმდინარეობს 2012 წლის 28 ოქტომბრიდან შემოსული ამ შინაარსის განცხადებების გადახედვა, შეფასება და მათთვის ამ მიმართულების მიცემა.
3. კომისიამ 207 შუამდგომლობით მიმართა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირს (ორგანიზაციას) (იხ. დანართი ცხრილის სახით)

საკანონმდებლო საქმიანობა

4. მოცემულ პერიოდში კომისიას არ ჰქონია საკანონმდებლო ინიციატივა, თუმც (საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიასთან ერთად) მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ტერმინ „ინვალიდის" შეცვლას ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი". საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მოიცავს შემდეგ კანონებს: საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ". (მუხლი 3, 15, 22, 25), „ტყის ფონდის მართვის შესახებ". (მუხლი 19, 20), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 44, 47), „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ" (მუხლი 10, 11, 13), „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" (მუხლი 14, 15, 17), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1343, 1359), „საჯარო სამსახურის შესახებ" (1, 49, 100), საქართველოს საჰაერო კოდექსი (მუხლი 76), საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 10, 11, 82, 206), „საექიმო საქმიანობის შესახებ" (მუხლი 45), „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" (მუხლი 2), „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" (მუხლი 14^4, 15^5), „პაციენტის უფლებების შესახებ" (მუხლი 12, 24), „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" (მუხლი 17), „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" (მუხლი 10, 11), „ნოტარიატის შესახებ" (მუხლი 43), „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" (მუხლი 22, 23), საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 32), „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის" შესახებ (მუხლი 2, 5), „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" (მუხლი 5), „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" (მუხლი 25), „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" (მუხლი5).

ასევე, მზადდება ცვლილების ინიცირება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-60-ე მუხლის „ბ" პუნქტში, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი უმაღლესი საბჭოს წევრისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შესვლის უფლების მინიჭებას; „ლობისტური საქმიანობის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის „ბ" პუნქტში მზადდება ცვლილების ინიცირება, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობითი ორგანოების რიცხვს დაემატება აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები; სისხლის სამართლის კოდექსში მზადდება 144^4 მუხლის დამატების ინიცირება, რომელიც ეხება ადამიანის იძულებით გაუჩინარებას, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებები, რათა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავისას, მოქალაქის მიერ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადაუხდელობა, არ იყოს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

5. 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 24 აპრილის ჩათვლით კომისიამ გამართა ცხრა სხდომა (იხ. ოქმები დანართის სახით).
6. კომისიის მიერ მომზადებული იქნა 8 კანონპროექტთან დაკავშირებული 8 დასკვნა. (იხ. დანართის სახით).

მონიტორინგი

8. **სასჯელაღსრულების სისტემა:**
24-29 ნოემბერს განხორციელებულია სასჯელაღსრულების № 3 დაწესებულების მონიტორინგი. 100-მდე პატიმრის, მათ შორის მოშიმშილეების გამოკითხვის, განმარტოებითი საკნების და სამედიცინო ნაწილის მონახულების, ამასთან კომისიაში შემოსულ განცხადებებში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით, პროკურატურაში გაგზავნილია მიმართვა არაადამიანური მოპყრობის, ძალადობისა და წამების ფაქტებზე გამოძიების დაწყების თხოვნით.

9. **დისკრიმინაციის ფაქტები და ტრეფიკინგი:**
აღნიშნულ პერიოდში, რელიგიური, სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევისა და ტრეფიკინგის ფაქტებზე მოქალაქეებს კომისიისათვის არ მოუმართავთ.

მოქალაქეთა მიღება

10. განვლილ რვა თვეში კომისიის თავმჯდომარე ინდივიდუალურ რეჟიმში შეხვდა 148 მოქალაქეს. თავმჯდომარის მოადგილე სულხან ღლონტი 6 მოქალაქეს. კომისიის წევრები: სვეტლანა კუდბა - 30 მოქალაქეს, ირაკლი ჯაში - 44 მოქალაქეს, პეტრე ზამბახიძე - 2 მოქალაქეს.

ღონისძიებები

11. კომისია, თავმჯდომარის სახით, მონაწილეობდა:
    - **2014 წლის 14-16 ოქტომბერს** - სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 27-ე პლენარულ სხდომის მუშაობაში, სადაც მთავარ სადისკუსიო თემას წარმოადგენდა შშმ პირთა უფლებები და სხვა საკითხები. იმავდროულად მონაწილეობდა ევროპის რეგიონთა ასამბლეისა და „R20 რეგიონები და კლიმატის ცვლილება" საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამართულ მსოფლიო სამიტში. (იხ. თანდართული მოხსენებითი ბარათი).
    - **2014 წლი 31 ოქტომბერს** - ბათუმში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის" მიერ გამართულ ღონისძიებაში „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ".
    - **2014 წლის 14 ნოემბერს** - ბათუმის მე-6-ე საჯარო სკოლაში არსებული ინკლუზიური და ინტეგრირებული სწავლების ჯგუფის მოსწავლეებთან შეხვედრაში, მათი ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაში.
    - **2014 წლის 28 ნოემბერს** - უმაღლეს საბჭოში გამართულ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებთან შეხვედრაში, (მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე).
    - **2014 წლის 28 ნოემბერს** - სსიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში თემაზე - მოზარდებისა და საზოგადოების უფლებები დაავადებებისაგან თავდაცვის საშუალებების ინფორმირებულობაზე.
    - **2014 წლის 11 დეკემბერს** - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „Mercy Corps"-ის მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის მენეჯმენტთან შეხვედრაში, (თემაზე ქალთა უფლებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის საკითხები).
    - **2014 წლის 18 დეკემბერს** - ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის", აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის და კლუბ „ბათუმი" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში - „ქართველთა და აფხაზთა მეორე ფორუმი".
    - **2015 წლის 5 იანვარს** - ბათუმის საზღვაო ნავსადგურში ადმინისტრაციასა და შრომით კოლექტივს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებაში და მათ შორის გაფორმებული მემორანდუმის პირობების შემუშავებაში.
    - **2015 წლის 24 აპრილს** - გამართულ სამოქალაქო ფორუმში - „ქალთა უფლებები და ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში".
    - **2015 წლის 30 აპრილს** - „დემოკრატიის ინსტიტუტის" მიერ ორგანიზებულ ღონისძებაში, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილი პატიმრებისა და პატიმართა ოჯახების ადვოკატირებას. (ყოფილ პატიმართა მხარდასაჭერად მონაწილეობა მიიღო მათ მიერ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაში. პირადი სახსრებით შეიძინა (370 ლარის ღირებულების) ნამუშევრები).

- 25-ე ბატალიონის ტერიტორიაზე ე.წ. „ოცნების ქალაქში“ თვითნებურად ჩასახლებული ოჯახების სოციალური სტატუსის, მათი რეალური ყოფითი პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტისათვის შემდგარ ღონისძიებებში. ასევე, მიწის ნაკვეთების დაკანონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გონიოს ციხის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების რეალიზებასთან დაკავშირებით ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებთან გამართულ სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრებში.
- 2015 წლის 5 მაისს კორპორაცია „ევექსის“ წარმომადგენლებთან შეხვედრის ღონისძიებაში, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის რამდენიმე კომპონენტიდან გამოსვლის გამო სამედიცინო მომსახურებაზე მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის უფლებების შელახვის ფაქტთან დაკავშირებით.
- (როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე) **2014 წლის 26 ნოემბერს** გამართულ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაში. (რომელშიც ასევე მონაწილეობდა საქართველოს გენდერული თანასწორობის ქსელი, „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გენდერული თანასწორობის ქსელის აჭარის რეგიონული კოორდინატორი).
- სხვადასხვა ფესტივალებში, საიუბილეო ღონისძიებებში და ბიზნეს ფორუმებში, სატელევიზიო გადაცემებში, ადამიანის უფლებათა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ 18-მდე გასვლით შეხვედრაში. სხვადასხვა საკითხებზე მოწყობილ ბრიფინგებში; წევრის სტატუსით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მუშაობაში.

<u>მივლინებების სტატისტიკა და ანალიზი</u>

12. კომისიის წევრთა მივლინებები: სულ ოთხჯერ - კომისიის თავმჯდომარე. 1. ქალაქ თბილისში, მთავრობის კანცელარიაში მიმდინარე საკითხებზე პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე; 2. ადიგენში - აჭარიდან ჩასახლებულ მოსახლეობასთან შეხვედრის მიზნით; 3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - კანონპროექტების ინიცირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამეცნიერო-აკადემიურ წრეებთან კონსულტაციების მიზნით; 4. თბილისში - (როგორც უმაღლესი საბჭოს გენდერული საბჭოს თავმჯდომარე) გენდერული თანასწორობის სამოქალაქო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. (კონკრეტულ მივლინებაზე იხილეთ თანდართული კონკრეტული ბარათი).

მოქალაქეთა განცხადებების თემატიკა და რაოდენობა **2014** წლის **1** სექტემბრიდან **2015** წლის **24** აპრილის ჩათვლით

საკითხი	რაოდენობა
საცხოვრებლით უზრუნველყოფა	81
საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე შუამდგომლობის თხოვნა	2
ფულადი დახმარება სამედიცინო დანიშნულებით	4
სამართლიანობის აღდგენაში დახმარების თხოვნა	5
სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე შუამდგ. თხოვნა	10
საყოფაცხოვრებო დავა	10
სამსახურში აღდგენა	2
დახმარების დანიშვნა	1
პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა	7
ციხის ადმინისტრაციისადმი პრეტენზია	12
ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა	1
გამოძიების გაჭიანურება	3
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება	2
საყოფაცხოვრებო პრობლემები	26
უკანონო პატიმრობა	8
მიწის საკუთრება	6
საცხოვრებლიდან გამოსახლება	1
იპოთეკით შექმნილი პრობლემა	1
ქონებრივი უფლებების დარღვევა	6
თაღლითობა	1
პატიმარზე ფიზიკური ძალადობა	4
სტიპენდიის დანიშვნა	1
ობლიგაციის განაღდება	1
გარევაჭრობის მოწყობის ნებართვა	1
მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება	3
დასაქმება	10
დევნილის საცხოვრებლით უზრუნველყოფა	1
მატერიალური ზარალის ანაზღაურება	1
უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემაზე შუამდგ. თხოვნა	2
იაფი სესხის მიღებაზე შუამდგომლობის თხოვნა	1
სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი კანონდარღვევა	4
მოქალაქის უგზოუკვლოდ გაუჩინარება	1
თვითნებურად ჩასახლებულ მოქალაქეთა განცხადება	14
სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე შუამდგომლობა	1
პატიმრის უნდობლობა გამომძიებელ პროკურორის მიმართ	1
სულ:	**235**

გადაგზავნილი განცხადებების ადრესატები და რაოდენობა 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 24 აპრილის ჩათვლით

შუამდგომლობის ადრესატი	რაოდენობა
აჭარის მთავრობის თავმჯდომარე	99
აჭარის პროკურატურა	21
აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო	9
სასჯელაღსრულების № 3 დაწესებულება	3
ბათუმის მერია	17
ქედის მუნიციპალიტეტი	1
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	3
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	3
აღსრულების ეროვნული ბიურო	3
კერძო ორგანიზაცია	3
საქართველოს პრემიერ-მინისტრი	1
აჭარის კულტურილი მემკვიდრეობის სააგენტო	1
შეწყალების კომისია	4
საქართველოს მთავარი პროკურატურა	10
საქართველოს პარლამენტი	2
საქართველოს ფოსტა	2
ბათუმის რეფერალური საავადმყოფო	1
აჭარის დასაქმების სააგენტო	3
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	1
ხულოს მუნიციპალიტეტი	1
ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	2
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1
აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	5
სოციალური მომსახურების სააგენტო	1
შუახევის მუნიციპალიტეტი	1
საქართველოს სოლიდარობის ფონდი	1
საქართველოს პრეზიდენტი	5
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
ბათუმის ავტოტრანსპორტი	1
აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტორო	1
სულ:	**207**

რეაგირებულია 207-ივე ანუ გადაგზავნილია ქვემდებარეობის მიხედვით.
(კონტროლზე აყვანილი 76-დან პასუხი მიღებულია 71-ზე.)
დადებითადაა გადაწყვეტილი 68.
არგუმენტირებული უარია 76-ზე.
გადაწყვეტის პროცესშია - 49
პასუხს ველოდებით -14

კომისიის აპარატში შესწავლის სტადიაშია 28 განცხადება.